თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2023 წლის 7 ივნისი

ქ. თერჯოლა

,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ივნისის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2015; სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.126.016154) და დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალოს შემდეგი შინაარსით:

,,3. იმ შემთხვევაში თუკი ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (არასაცხოვრებელი ფართი) გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირა 1 m^2 არასაცხოვრებელი ფართისათვის შეადგენს - 7 ლარს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **დავით გოგბერაშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი